



5756/4-2/21 2 10062021



5756/4-2/21
10-06-2021

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს

ბატონ ვახტანგ გომელაურს

ბატონო ვახტანგ,

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქვეყანაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის გამომწვევი მიზეზებისა და მისი მძიმე შედეგების თავიდან აცილებისაკენ მიმართული საქმიანობის ფარგლებში, ბოლო წლებში გატარდა არარერთი საკანონმდებლო რეფორმა. მათ შორისაა: ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების სავალდებულოობის დაწესება, ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობაზე 100 ქულიანი სისტემის დაკავშირება, ეფექტიანი მონოტორინგის მექანიზმების დანერგვა, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალების მართვის კრიმინალიზაცია და სხვა.

თუმცა, შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება კვლავ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევად რჩება, რასაც განსაკუთრებით გაესვა ხაზი ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე, რომელზეც განიხილებოდა საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის მიზანია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამკაცრება სატრანსპორტო საშუალების ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მართვის შემთხვევებში.

დასახელებული საკითხის განხილვისას კომიტეტმა აღნიშნა, რომ საკანონმდებლო რეგულაციების დახვეწა და პასუხისმგებლობის გამკაცრება არ არის საკმარისი მიზანთან მაქსიმალურად დაახლოებისთვის და პარალელურად აუცილებელია სხვა ქმედითი, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება საზოგადოების ცნობიერების

ამაღლების, საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების და სხვა რელევანტური მიმართულებებით.

კომიტეტი ერთ-ერთ პრიორიტეტად ისახავს ადამიანის უსაფრთხოების უფლების დაცვისაკენ მიმართულ საქმიანობას და გეგმავს აქტიურად ჩაერთოს ამ კუთხით სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ხარისხის გაზრდის უზრუნველსაყოფად ბოლო წლებში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, ამჟამად მიმდინარეობს თუ არა რაიმე კამპანია და როგორია სამომავლო გეგმები ამ მიმართულებით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე

მ. სარჯველაძე



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA



24/06/2021



MIA 5 21 01622781

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ მიხეილ სარჯველაძეს

ბატონო მიხეილ,

2021 წლის №5756/4-2/21 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში-სამინისტრო) სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის ინფორმაციით, საქართველოს საგზაო უსაფრთხოებაში არსებული სიტუაცია წლების განმავლობაში რჩება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს გამოწვევად. სწორედ ამიტომ, სამინისტრომ შეიმუშავა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ინტეგრირებული საინფორმაციო კამპანია - „მეტი სიცოცხლისთვის“, რომლის მიზანი გახლდათ:

- არსებული პრობლემის საზოგადოებისთვის სრული სიმძაფრით შეხსენება;
- გაზარდოს საზოგადოების ცნობიერება საგზაო უსაფრთხოებაში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის შესახებ;
- საზოგადოების ინფორმირება თუ რას აკეთებს სახელმწიფო, კონკრეტულად კი სამინისტრო, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაზრდისა და ავტოსაგზაო შემთხვევების შემცირების მიმართულებით.

კამპანიის ფარგლებში პირველ ეტაპზე განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები (2019 წლის II კვარტალი):

- დამზადდა და 6 ყველაზე რეიტინგულ ტელეარხზე განთავსდა 4 ვიდეორგოლი, რომელიც ნახა 2 მილიონზე მეტმა ადამიანმა მინიმუმ ერთხელ, ხოლო 1,2 მილიონმა ადამიანმა მინიმუმ 4-ჯერ;
- სოციალურ ქსელში განთავსდა 5 ვიდეო, 5 გრაფიკული რგოლი და საგზაო უსაფრთხოების თემატიკაზე შექმნილი ბანერები და პოსტები - წვდომა განახორციელა სოციალური ქსელის - 827 500 მომხმარებელმა;



- სამინისტროს წარმომადგენლების სატელევიზიო გადაცემებში მონაწილეობის/სატელევიზიო ინტერვიუების რაოდენობა - ჯამში 32 ინტერვიუ/გადაცემა;
- კამპანიის ფარგლებში გამოყენებულ იქნა გარე რეკლამა-ბანერები. გარე რეკლამამ (აუთდორ კამპანიამ) მოიცვა მთელი საქართველო, თუმცა ძირითადი აქცენტი გაკეთდა თბილისზე;
- კამპანიის ფარგლებში აუდიო რეკლამა განთავსდა რადიოში. კამპანიისთვის საკვანძოდ მნიშვნელოვანია რადიოს მსმენელთა სეგმენტი, ვინაიდან ისინი სწორედ მანქანის მართვისას ისმენენ იმ მესიჯებს, რომლებიც მათ უსაფრთხო და კულტურული მართვისკენ მოუწოდებს;
- კამპანიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო არხი იყო სოციალური ქსელი. კამპანიის სოციალური ქსელის „Facebook“ გვერდზე პერიოდულად ხდებოდა მძღოლებისთვის სასარგებლო ინფორმაციის, ვიდეო რგოლებისა და სტატისტიკის გამოქვეყნება;
- ვებგვერდის www.formorelife.police.ge მეშვეობით ხდებოდა საზოგადოების ინფორმირება კამპანიასთან დაკავშირებული სიახლეებისა და სამინისტროს მიერ საგზაო უსაფრთხოების კუთხით გატარებული რეფორმების შესახებ;
- შეხვედრები კერძო სექტორთან;
- უწყებათაშორისი შეხვედრები;
- შეხვედრები სკოლებსა და უნივერსიტეტებში;
- 1 ივნისის ღონისძიება - კამპანიის „მეტი სიცოცხლისთვის“ ფარგლებში სამინისტრომ ბავშვთა დაცვის დღეს მოზარდებს ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე უმასპინძლა. ღონისძიება მიზნად ისახავდა ბავშვთა ცნობიერების ამაღლებას საგზაო უსაფრთხოების საკითხებზე. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფების თემატური სივრცეები;
- კამპანიის ფარგლებში ასევე გამოყენებულ იქნა „აზრის ლიდერები“, საგაზეთო სტატიები, მოკლე ტექსტური შეტყობინებები, სტატიები ონლაინ გამოცემებში.

კამპანიის მეორე ეტაპი (2019 წლის III-IV კვარტალი)

- კამპანიის გახსნის ღონისძიება - სამინისტრომ საგზაო უსაფრთხოების მიმართულებით 2019 წლის ბოლომდე განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმა და სოციალური კამპანიის „მეტი სიცოცხლისთვის“ ახალი ეტაპი წარუდგინა საზოგადოებას;
- კამპანიის მეორე ეტაპზე, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სპეციალურად გადამზადებულმა თანამშრომლებმა დაიწყეს საგზაო უსაფრთხოების გაკვეთილების ჩატარება თბილისისა და რეგიონების საჯარო სკოლების დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის. აღნიშნული აქტივობა დღემდე გრძელდება (კოვიდ-რეგულაციების სრული დაცვით);
- საგზაო უსაფრთხოების კამპანიის „მეტი სიცოცხლისთვის“ მეორე ეტაპის ფარგლებში დამზადდა და 6 ყველაზე რეიტინგულ ტელეარხზე განთავსდა 4 ვიდეორგოლი, რომელიც ნახა 1,1 მილიონზე მეტმა ადამიანმა მინიმუმ ერთხელ, ხოლო 840 000 ადამიანმა მინიმუმ 5-ჯერ;
- რეკლამა განთავსდა 5 რადიოში;
- საანგარიშო პერიოდში, გრძელდებოდა კამპანია სოციალურ ქსელში - განთავსდა 6 ვიდეო, 2 გრაფიკული ვიდეო რგოლი და საგზაო უსაფრთხოების თემატიკაზე შექმნილი ბანერები და პოსტები;

- სამინისტროს წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ სატელევიზიო გადაცემებში, მათ შორის რეგიონალურ ტელევიზიებშიც. ჯამში 25-ზე მეტი ინტერვიუ/გადაცემა;
- ამ ეტაპზე, დონორის მხარდჭერით, მიმდინარეობს მუშაობა ვიდეორგოლზე, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას სიმთვრალის მდგომარეობაში ავტომანქანის მართვით გამოწვეულ საფრთხეებსა და შედეგებზე. იგეგმება, აღნიშნული ვიდეორგოლის ტელევიზიებში განთავსება სოციალური რეკლამის სტატუსით.

სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“ ინფორმაციით, 2020 წელს საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, მაქსიმალური კოორდინაციისა და ინციდენტებზე ოპერატიული რეაგირების გაუმჯობესების მიზნით, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „112“ და სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი - ერთობლივი ოპერაციების ცენტრი (დეპარტამენტი) გაერთიანდა და შეიქმნა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“.

აღნიშნული საჯარო სამართლის იურიდიული პირი ახორციელებს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული და ეფექტიანი მართვისათვის შესაბამის სატელეფონო მომსახურებას. აგრეთვე, 24-საათიან უწყვეტ ვიდეომეთვალყურეობას ქვეყნის მასშტაბით დანაშაულის ჩადენის, დანაშაულის მცდელობის ფაქტის, სამართალდარღვევის დაფიქსირების ადმინისტრირებისა და საგზაო უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით.

ცენტრის ძირითადი ფუნქციებია - დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესება, საგზაო უსაფრთხოების ეფექტური მართვა, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტეგრირებული მართვის სისტემის შექმნა, კრიზისული სიტუაციების ეფექტური პრევენცია / მართვა, მონაცემთა ეფექტური დამუშავება / ანალიზი, კერძო დაცვითი საქმიანობის კონტროლი.

საქართველოს მასშტაბით ინტენსიურად მიმდინარეობს ვიდეოკამერების მონტაჟი საავტომობილო გზების მონაკვეთებზე. ამჟამად, სულ, საქართველოს მასშტაბით, დამონტაჟებულია 5293 ვიდეოკამერა. მათ შორის, 1775 ნომრის ამომცნობი და 3518 ზოგადი ხედვის ვიდეოკამერა. საშუალო სიჩქარის კონტროლისა და საგზაო მოძრაობის ადმინისტრირების მიზნით, საქართველოს საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებზე სულ ამოქმედებულია სიჩქარის კონტროლის 295 სექცია, რის საფუძველზეც, ჯამურად კონტროლდება 1269 კმ. სიგრძის საგზაო მონაკვეთი.

2021 წლის იანვარი-მაისის განმავლობაში საქართველოს მასშტაბით დამონტაჟდა 507 ვიდეოკამერა, საიდანაც, 483 არის ზოგადი ხედვის, ხოლო 24 - ნომრის ამომცნობი, ე.წ. „ჭკვიანი“ ვიდეოკამერა. ასევე, 2021 წლის აღნიშნულ პერიოდში ქვეყნის მასშტაბით დამატებით ამოქმედდა - სიჩქარის კონტროლის 25 სექცია.

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიმართულებით არაერთი ღონისძიება გატარდა. კერძოდ, პერმანენტულად ხდება მოსახლეობის ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება ვიდეოკამერების სხვადასხვა ლოკაციაზე დამონტაჟების შესახებ, მზადდება საინფორმაციო ბანერები, რომლებიც თავსდება 112-ის ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში (<https://www.facebook.com/112.ge>; www.112.gov.ge). პერიოდულად მზადდება ვიდეორგოლები ციფრულ პლატფორმებზე განსათავსებლად, აგრეთვე, ინფორმაცია ვრცელდება საინფორმაციო სააგენტოებისა და ტელევიზიების საშუალებით.

ამასთან, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“ დირექტორი სხვადასხვა მასშტაბის საშუალებით ხშირად იყენებს შესაძლებლობას, მოსახლეობას მიაწოდოს ინფორმაცია საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული პროექტებისა და აქტივობების შესახებ.

სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - მომსახურების სააგენტო) მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ - „სპორტული კლუბი MIA FORCE" 2016 წლიდან ჩართულია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისა და საგზაო მოძრაობის წესების დაცვის პროპაგანდის კამპანიაში. ამ მიზნით კლუბის მიერ გამართული საავტომობილო სპორტული ღონისძიებების ძირითად სლოგანს წარმოადგენს საგზაო მოძრაობის წესების დაცვა, შეჯიბრებითობა მხოლოდ სპორტულ არენებზე. აქედან აღსანიშნავია კლუბის ორგანიზებით 2017 წელს საქართველოში ძარიან ავტომობილებში მსოფლიო ჩემპიონატის პირველი ტურის ჩატარება, რომლის სლოგანი იყო საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება და წესების დაცვა (ეგიდით - საავტომობილო შეჯიბრი და სისწრაფე მხოლოდ ავტოდრომებზე და შესაბამის სპორტულ არენებზე). აღსანიშნავია, რომ ა(ა)იპ - „სპორტული კლუბის MIA FORCE" მრბოლელი დათა ქაჯაია არის "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების" კამპანიის სახე.

მომსახურების სააგენტოს მიერ, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიმართულებით განხორციელებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებები, კერძოდ:

- მომსახურების სააგენტო 2015 წლიდან შეუერთდა სამინისტროს საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროექტს „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა საჯარო სკოლებისთვის“, რომლის ფარგლებშიც 2015, 2016 და 2017 წლებში მომსახურების სააგენტომ ქვეყნის მასშტაბით უმასპინძლა საჯარო სკოლების ასობით უფროს კლასელს. მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებმა მიაწოდეს მოსწავლეებს მომსახურების სააგენტოს სერვისების და საგზაო ნიშნების შესახებ ზოგადი ინფორმაცია.
- ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში, ტელეწამყვანი ქალბატონებისთვის, "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების" კამპანიის ფარგლებში, ჩატარდა შეჯიბრი;
- 2016 წლის 26 მაისი - გაიმართა "უსაფრთხო ქალაქის" იმიტაცია ქ. თბილისში;
- 2016 წელს გაიმართა "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კვირეული" ბათუმში - კვირეულის მიზანს წარმოადგენდა, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების თემაზე მოქალაქეების ცნობიერების ამაღლება. ერთი კვირის მანძილზე, მოეწყო სხვადასხვა სახის გასართობ-შემეცნებითი აქტივობები, რომელშიც აქტიურად ჩაერთვნენ, როგორც ადგილობრივები, ასევე ტურისტები;
- "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების" პროგრამა ქ. ქუთაისში - ღონისძიების ფარგლებში, მოეწყო ქ. ქუთაისში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კამპანიის პროექტის პრეზენტაცია და გამოფენა. უნივერსიტეტის ეზოში მოწყობილ გამოფენაზე წარმოდგენილ იქნა საგზაო მოძრაობის ბანერები, ა(ა)იპ - „სპორტული კლუბი MIA FORCE" სპორტული ავტომანქანები, წარმატებული სპორტსმენების და ეროვნულ არქივში დაცული გასული საუკუნის ფოტოები, რომლებზეც აღბეჭდილია საქართველოში გაცემული პირველი მართვის მოწმობა, სარეგისტრაციო მოწმობა, ასევე, სხვა თემატური საარქივო მასალა. აღსანიშნავია, რომ მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებმა უნივერსიტეტის სტუდენტებსა და მოწვეულ სტუმრებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს და საგზაო წესების დაცვის მნიშვნელობაზე ესაუბრნენ;
- 2017 წლის 26 მაისი - გაიმართა "უსაფრთხო ქალაქის" იმიტაცია თელავში;

- 2017 წელს - ჩატარდა "უსაფრთხო ქალაქი" ქ. ბათუმში - მომსახურების სააგენტოს მიერ იმიტირებულ იქნა ე.წ. მართვის სკოლა, რომელიც გათვლილი იყო, როგორც ზრდასრულთათვის, ასევე მოზარდთათვის, აღნიშნული პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა ცნობიერების ამაღლება საგზაო უსაფრთხოების მიმართულებით, მათ შორის საგზაო ნიშნების მნიშვნელობის ახსნა.

ამასთან, 2019 წლის ივლისის თვის დასაწყისში საქართველოში ჩატარდა სიეკა-ს (CIECA - International Commission for Driver Testing) კონგრესი, რომელიც ეხებოდა თანამედროვე ტექნოლოგიებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სფეროში, მონაწილეობდნენ CIECA-ს წევრები და სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფები, რომლებიც ჩართულნი არიან საგზაო უსაფრთხოების მიმართულებით. CIECA არის მძღოლის ტესტირების/საგამოცდო საერთაშორისო კომისია, რომელიც აქტიურად არის ჩაბმული საგზაო უსაფრთხოებისა და მძღოლის ტესტირების/საგამოცდო სფეროში, რათა გააუმჯობესოს საგზაო მოძრაობის უსაფრთხო გარემო, ტრანსპორტის გადაადგილების სტანდარტები და გარემოს დაცვა. საქართველო წარმოდგენილი მომსახურების სააგენტოს სახით არის CIECA-ს წევრი 2014 წლის იანვრის თვიდან და დღემდე აქტიურად იღებს მონაწილეობას CIECA-ს მიერ გამართულ კონგრესებზე და ჩართულია CIECA-ს ეგიდით განხორციელებულ სხვადასხვა სამუშაო შეხვედრებში.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი
ქეთევან ტყეშელაშვილი

